პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ვაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 22 მაისი № 119 (16549) ფასი 2 კაპ. 1976

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1976 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1976 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა წარმატებით ჩაატარონ მოსავლის აღება შემჭიდროვებული ვადებში და უდანაკარგოდ. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმა, უზრუნველყონ მათი გამოზიდვა და შენახვა, მნიშვნელოვნად გაადიდონ მაღალი ხარისხის უხეში და წვნიანი საკვების დამზადება ამ საკვებზე საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი პირუტყვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საკვების სამარაგო მარაგის შექმნისათვის, აგრეთვე დადგენილ ვადებში მიაწოდონ სოფლისა და წყალთა მეურნეობას მოსავლის აღებისა ტექნიკა, ტრაქტორები, ავტომობილები და მათი სათადარიგო ნაწილები, ნავთობპროდუქტები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რაც საჭიროა მოსავლის აღებისა და საკვების დამზადებისათვის. მოსავლის დროულად აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მაღალხარისხოვანი უხეში და წვნიანი საკვების დამზადების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკოსოფლტექნიკას“. სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, ოლქის, ქალაქის, ავდგომრიანი სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ, რომ დროულად მოემზადონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციები 1976 წელს მოსავლის აღებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, აგრეთვე საკვების დამზადებისათვის. ამისათვის: ყველა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დაწყებამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე მთლიანად მოამზადონ ტრაქტორები, კომბაინები, სამკელი, სათიბი და სხვა მოსავლის ასაღები მანქანები, მარცვალსაწმენდი და მარცვალსაწმენდი მანქანები, ავტომობილები, საავტომობილო და სატრაქტორო მისაბმელები, უზრუნველყონ მოსავლის ასაღები ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარისხის შემოწმება, აგრეთვე მოსავლის აღებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადებისა და გადაზიდვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების მზადყოფნა; დააკომპლექტონ მოსავლის ასაღები აგრეგატები მაღალკვალიფიციური მექანიზატორებით, ფართოდ გაშალონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევისათვის, ამასთან უზრუნველყონ სამუშაოთა მაღალი ხარისხის და მოსავლის ასაღები მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება. შეიმუშავონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალ ხარისხსა და თავიდან აგვაცილებს დანაკარგებს მოსავლის აღებისას და კალოზე, დამამზადებელ პუნქტებსა და შენახვის ადგილებში მისი გადაზიდვის დროს. დააზუსტონ შექმნილი პირობების შესაბამისად 1976-1977 წლების პერიოდში პირუტყვის გამოსაზამთრებლად საკვების დამზადების გეგმები, უზრუნველყონ დამზადებული თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახის ფხვნილის, გრანულირებული და დაბრიკეტებული საკვების მაღალი ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მეურნეობებში საკვები რესურსების დამატებითი დაგროვებისა და რაციონალური გამოყენების ყველა რეზერვის ამოქმედებას; უხეში საკვების დამზადებასთან ერთად უზრუნველყონ მისი გადაზიდვა პირუტყვის გამოსაზამთრებელ ადგილებში, რათა პირუტყვის ბაგური შენახვის დაწყებამდე ძირითადად დამთავრდეს უხეში საკვების მიტანა მეცხოველეობის ფერმებში, აგრეთვე განახორციელონ ნაძარცვისა და დატაცებისგან საკვების დაცვის საჭირო ღონისძიებები.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭო განახორციელონ ზამთრის სძოვრებზე საკვების დამზადებისა და სამარქაფო მარაგის შექმნის საჭირო ღონისძიებები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და „საკოსოფლტექნიკას“ დაევალათ უზრუნველყონ 1976 წლის მოსავლის აღებისათვის ავტოკოლონების მომზადება „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოებში, სატვირთო ავტომობილები დააკომპლექტონ ორტო საწარმოებში, სატვირთო ავტომობილზე ორი მძღოლი მოდიოდეს. „საკოსოფლტექნიკას“ ნება ეძლევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით საჭიროების შემთხვევაში „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოთა ავტოკოლონები ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან გადაიყვანოს მეორეში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღებისა და დამზადებისათვის, გზათა სამინისტრომ კი ტვირთის წარდგენისთანავე გამოიყოს რკინიგზის პლატფორმები ავტოკოლონების გადასაყვანად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკოსოფლტექნიკასა“ და გზათა სამინისტროს ნება მიეცათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დროს შექმნილი პირობების შესაბამისად, 1976 წლის მაის-სექტემბერში შეცვალონ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ფონდებით გამოყოფილი მარცვლეულის ასაღები კომბაინების მიწოდების ვადები; საჭიროების შემთხვევაში ყაზახეთის სს რესპუბლიკაში მოსავლის აღების დროს გაგზავნონ გამოცდილი კომბაინერები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც უშვებენ მოსავლის ასაღებ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მათს სათადარიგო ნაწილებს, რეზინის ტექნიკურ ნაწარმს, მოწყობილობასა და მასალებს, დაევალათ უზრუნველყონ დადგენილებით დაწესებულ ვადებში სოფლისა და წყალთა მეურნეობისათვის მათი დაწესებულ ვადებში სოფლისა და წყალთა მეურნეობისათვის მათი ვადამდე დამზადება და გაგზავნა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამატებით ეძლეოთ მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები, სათადარიგო ნაწილები, რეზინის ტექნიკური და ელექტროტექნიკური ნაწარმი, ლითონის ნაკეთობები, ლითონი და სხვა მასალები.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ საგანგებო კონტროლი გაუწიონ ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილების, საწვავ-საპოხი მასალების და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების წარმოების დავალებათა შესრულებას და უზრუნველყონ სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და „საკოსოფლტექნიკას“ დაევალათ უზრუნველყონ 1976 წლის მოსავლის ასაღები ფართობების ადგილობრივი ბალანსი, ასევე ადგილობრივ ბალანსებში ასახეთ ადგილობრივ ბალანსებში ასახეთ ადგილობრივ ბალანსებში ასახეთ

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1976 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამაჯერებით ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

ვალს, მიეცეთ 2-დან 4 ცენტნერამდე მარცვლეული (აუნაზღაურებლად).

კომბაინისა და მოსავლის ახალები აგრეგატების სხვა მუშაკებს გათვალისწინებულია მიეცეთ აგრეთვე მარცვლეული: ტრაქტორზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეს — კომბაინზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანისათვის დარიცხული მარცვლის რაოდენობის 80 პროცენტი, კომბაინზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანის თანაშემწესა და ავტომობილის მძღოლს — თვითეულს 70 პროცენტი და დამბულულებელს 50 პროცენტი.

ამასთან ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და სხვა მუშაკებს, თუ სურთ, შეუძლიათ ნატურალური ანაზღაურების ნაცვლად მიიღონ ფული ჩასაბარებელი ფასებით კუთვნილი მარცვლეულის ღირებულების ოდენობით.

სამკელებზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეებს ციმბირის, ურალის, შორეული აღმოსავლეთისა და ყაზახეთის ყამირი რაიონების მეურნეობებში ლვარეულებად პურეულის მკის დროს თვითეული კულტურის მასობრივი აღების პირველ 7 დღეში, ხოლო დანარჩენ რაიონებში — პირველ 5 დღეში გათვალისწინებულია მიეცეთ 0,5 კილოგრამამდე მარცვლეული მოსავლისა და მოსავლის აღების პირობების მიხედვით და ბარდის აღების დროს 1,5 კილოგრამამდე თვითეული აღებული ჰექტარისათვის.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნებადართული აქვთ დახარჯონ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, კენკრისა და ბაღჩეული კულტურების მოსავლის 10 პროცენტამდე, რათა ხელფასის ანგარიშში მიმყიდონ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე ამ კულტურეების მოსავლის აღებაში ჩაბმულ მუშაკებს საგეგმო თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს საცალო ფასებისა, აგრეთვე მისცენ (უფასოდ) დამატებითი ანაზღაურების სახით თივის, სილოსის აღებაზე, სილოსის, სენაჟის დამზადებასა და ბალახის ფხვნილის წარმოებაზე დასაქმებულ მუშაკებს და მიჰყიდონ საგეგმო თვითღირებულებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახოფლო-სამეურნეო საწარმოების მუდმივ მუშაკებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში მყავთ შინაური პირუტყვი, დამზადებული თივისა და სილოსის 10 პროცენტამდე და ნამჯის 20 პროცენტამდე.

საბჭოთა მეურნეობების, სატყეო-მეურნეო საწარმოების დირექტორებს მინიჭებული აქვთ უფლება მისცენ თივის 50 პროცენტამდე (უფასოდ) ტრაქტორებისა და მანქანების გამოსაყენებლად ზარგის მიწებზე ხელით თიბვისა და თივის დამზადებაზე დასაქმებულ მუშაკებს.

რეკომენდებულია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა ასეთი წახალისება გამოიყენონ კოლმეურნეობებშიც.

შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ მოსავლის აღებით ტრაქტორისტ-მემანქანეების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ნებადართული აქვთ 1976 წელს საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების აღების დროს ტრაქტორისტ-მემანქანეების შრომის გადიდებული ანაზღაურების მოქმედი პირობების ნაცვლად შემოიღონ სანარდო შეფასებები, რომლებიც მარცვლეულის გალეწვის ხეზონური ნორმის შესრულების მიხედვით გაიზრდება შემდეგი ოდენობით: ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის ყამირი რაიონების, ურალისა და ვოლგისპირეთის საბჭოთა მეურნეობებში ხეზონური ნორმის 25-დან 40 პროცენტამდე (ჩათვლით) მარცვლეულის გალეწვისათვის — 25 პროცენტით, დანარჩენ რაიონებში კი — 15 პროცენტით, აღნიშნულ რაიონებში ხეზონური ნორმის 40-დან 60 პროცენტამდე (ჩათვლით) მარცვლეულის გალეწვისათვის — შესაბამისად 50 და 30 პროცენტით, ხოლო იმავე რაიონებში ხეზონური ნორმის 60 პროცენტზე მეტი მარცვლეულის გალეწვისათვის — შესაბამისად 100 და 60 პროცენტით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1973-1975 წლებში ტრაქტორისტ-მემანქანეთა შრომის გადიდებული ანაზღაურების გამოყენების ჩაბარებული ცდის შედეგების შესაბამისად დაევალა შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაამტკიცოს მეურნეობებში მარცვლეულის გალეწვის ხეზონური ნორმების დადგენის წესი.

საფაბრიკო ჭარხლის ჭარხლის მოსავლის აღებაზე დასაქმებული საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა შრომის ანაზღაურება მისი ნათესი ფართობის 30 პროცენტის აღების შემდეგ, მაგრამ არა უადრეს 20 სექტემბრისა, მოხდეს ფასდებებით, რომლებიც ტრაქტორისტ-მემანქანეებს გაუდიდდებათ 50 პროცენტით და ჭარხლის მოსავლის აღებაზე დასაქმებულ სხვა მუშებს — 25 პროცენტით, ხოლო ალტაის მხარეში შესაბამისად 80 და 40 პროცენტით მოქმედი ფასდებების ნაცვლად.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ გამოიყენონ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების აღნიშნული წესი.

ნებადართულია, თუ შეასრულებენ მარცვლეული კულტურებისა და სოიის მოსავლის აღების დროს დღე-ღამეში ორი ცვლის ნორმას, კომბაინერებისა და მათი თანაშემწეების, პრემირება სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ციმბირის, ურალის, ქვემო და შუა ვოლგისპირეთის რაიონებსა და ყაზახეთის სსრ ყამირ რაიონებში — 40 პროცენტის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება 1976 წელს, გამონაკლისის სახით, რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების შინაგანი რესურსების ხარჯზე მეურნეობათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და პურის მიმღებ საწარმოებში ჩაბმულ ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (პირველი და გამოსაშვები კურსების გარდა) და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უფროსი კურსების მოსწავლეები (გამოსაშვები კურსების გარდა) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის (საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გარდა) მოსწავლეები.

დადგენილია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც 1976 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და პურის მიმღებ საწარმოებში აბამენ სამუშაოდ ამ დადგენილების შესაბამისად, უნარჩუნდებათ ძირითად სამუშაო ადგილას საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტი. აღნიშნულ თანხას მუშაობა და მოსამსახურეთა ძირითად სამუშაო ადგილას საკუთარი სახსრების ხარჯზე იხდიან საწარმოები და ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით დღიურ და ბინის ფულს მათ არ უხდიან.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნებადართული აქვთ მოსავლის მასობრივი აღების პირველ დღეებში (მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა) საბჭოთა მეურნეობებში სადედე შაქრის ჭარხლისა და ჭარხლის სათესლის აღებაზე დასაქმებულ ტრაქტორისტ-მემანქანეებს შრომა აუნაზღაურონ გადიდებული ფასდებით.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება ეძლევათ ნება მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნაღდ ანგარიშზე სახელმწიფოო შესასყიდ ფასებში რუსეთის სფსრ და უკაზახეთის სსრ ყამირ რაიონებში მოსავლის ასაღებად ჩასულ ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და მათს თანაშემწეებს, რომლებიც ასრულებენ გამომუშავების სეზონური ნორმას კომბაინებზე ამ რაიონებში, მიჰყიდონ მარცვლეული 10 პროცენტის ოდენობით. სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ნებადართული აქვს 1976 წელს გამონაკლისის სახით, რუსეთის სფსრ და უკაზახეთის სსრ ყამირ რაიონებში მოსავლის ასაღებად ჩასულ ტრაქტორისტ-მემანქანეებისაგან, მათი თანაშემწეებისა და ავტომობილების მძღოლებისაგან ჩაიბარონ სადგურისპირა პურის მიმღებ საწარმოებში მათ მიერ გამომუშავებული მარცვლეული თვითეულისაგან დაახლოებით 14 ცენტნერი, თუ წარმოადგენენ მეურნეობის ცნობას მოსავლის აღების დროს გამომუშავებული მარცვლეულის რაოდენობის შესახებ, და მისცენ მათ თანაბარი რაოდენობის მარცვლეული მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ ნება დართონ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საალრეო მზრალად ზვნაზე დასაქმებულ ტრაქტორისტ-მემანქანეებს შესასყიდ ფასად მიჰყიდონ 7 კილოგრამამდე მარცვლეული წინამორბედი კულტურის მოსავლის მასობრივი აღების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში გამომუშავებული თვითეული ცვლის ნორმისათვის, და 5 კილოგრამამდე მარცვლეული — შემდგომ პერიოდებში. ეს მარცვლეული ერთ მექანიზატორს უნდა მიეყიდოს მარცვლეულის მოყიდვის ზღვრული ოდენობის გადამეტებით.

ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და სხვა მექანიზატორებს, რომლებიც 1976 წელს მოსავლის აღების სამუშაოებისა და საკვების დამზადებისათვის მიდიან სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უნდა აუნაზღაურდეთ დროებითი მუშაობის ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება, აგრეთვე მიეცეთ საშუალო ხელფასი გზაში ყოფნის დროს და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში ჩასვლის პირველი სამი დღის განმავლობაში. აღნიშნულ მექანიზატორებს საბჭოთა მეურნეობებში შრომა უნდა აუნაზღაურდეთ ამ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედ ნორმათა და ფასდებათა მიხედვით. მექანიზატორებს ენიჭებათ ძირითადი მუშაობის ადგილას მათი საშუალო ხელფასის 75 პროცენტი. აღნიშნულ თანხას საწარმოები და ორგანიზაციები უხდიან საკუთარი სახსრებიდან მექანიზატორთა ძირითადი მუშაობის ადგილზე და ხელფასის ფონდში არ შედის, ხოლო კოლმეურნეობებიდან მოვლინებულ მექანიზატორებს — იმ მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, სადაც იგზავნებიან. მექანიზატორები მოსავლის ასაღებად და საკვების დასამზადებლად. ამის გამო მივლინებულ მექანიზატორებს ღღიური და ბინის ფული არ ეძლევათ.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ მივლინებულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედ ნორმათა და ფასდებათა მიხედვით, აგრეთვე სხვა მეურნეობებში მოსავლის ასაღებად და საკვების დასამზადებლად გაგზავნილ მექანიზატორთა ეროვნული დრო შეიტანონ იმ შრომითი მონაწილეობის მინიმუმის შესრულებაში, რომელიც უფლებას აძლევს ყოველწლიურად მიიღონ ფასიანი შვებულება.

კოლმეურნეობებიდან მივლინებულ მექანიზატორებს სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟისათვის ერიცხებათ გამომუშავების ღლანმატი ძირითადი მუშაობის ადგილზე დადგენილი ოდენობით. ამ დანამატს უხდიან მეურნეობები, სადაც, მივლინებული არიან მექანიზატორები მოსავლის ასაღებად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ 1976 წელს მუშაობის ყველაზე დაძაბულ პერიოდებში დაახმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტრაქტორები და ავტომანქანებიდები მძღოლთა შემადგენლობითაც, აგრეთვე ტრაქტორისტ-მემანქანეები და სხვა მექანიზატორები, ავტომობილებს მძღოლები ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მათთვის დადგენილ საგეგმო დავალებათა შესრულებას.

მუშაობის ადგილზე და უკან ტექნიკის გადატანასთან და აღნიშნულ მუშაკთა გადაყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს საკუთარი სახსრებიდან უნდა ანაზღაურებდნენ ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ მუშაკებსა და ტექნიკას გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად განმარტოს, თუ როგორ აუნაზღაურდეთ შრომა ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და სხვა მექანიზატორებს და ავტომობილთა მძღოლებს, რომლებიც 1976 წელს მივლინებული არიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ 1975 წელს მოქმედი პირობებით, აგრეთვე, როგორ აუნაზღაურდეთ შრომა კომბაინებზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეთა თანაშემწეებს, რომელთა თანამდებობები შემოღებულია პურეულის მოსავლის მასობრივი აღების პერიოდში.

სსრ კავშირის სახბანკს დაევალა, გამონაკლისის სახით 1976 წლის 1 ნოემბრამდე სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მისცეს გრძელვადიანი კრედიტი მოსავლის ასაღები ტექნიკის შესაძენად, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ვადაგადასული დავალიანება სსრ კავშირის სახბანკის ხესხის ხაზით, აგრეთვე მისცეს ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებს, სოფლტექნიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამატებითი გრძელვადიანი კრედიტი მარცვალსაშრობი პუნქტების, გადახურული კალოების, მარცვლეულსაცავების, მარცვლეულის შესანახავი მოედნებისა და ავტომობილების გადახურული სადგომების მშენებლობის ასანაზღაურებლად 1976 წლისათვის დადგენილ კაპიტალური დაბანდების მოცულობათა გადამეტებით აღჭურვილობა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოძებნის კვალობაზე.

მარცვლეულის მიღების ვადების შემცირების მიზნით რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება ეძლევათ პურის შემოსვლის დაწყებიდან 1976 წლის 1 დეკემბრამდე ყაზინი მიწების რაიონების პურეულის მიმღებ პუნქტებში მარცვლეულის დაკვირვითვა-გადმოტვირთვაზე დასაქმებულ მტვირთავ მუშებს შრომა აუნაზღაურონ 50 პროცენტით გადიდებული ფასდებით, თუ ისინი ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმას.

გზათა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს 1976 წელს ხილითა და ბოსტნეულით დატვირთული ვაგონების დაჩქარებული გაგზავნა ქვეყნის სამხრეთ რაიონებიდან დანიშნულების პუნქტებში, გათვალისწინოს მოძრაობის გრაფიკებში გადიდებული სიჩქარის სპეციალიზებული მატარებლების მიმოსვლა ამ პროდუქციის გადასაზიდად.

გზათა სამინისტროს, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის სამინისტროს წინადადება მიეცათ პირველ რიგში (ეგმით) უზრუნველყონ ვაგონებისა და გემების მიწოდება ტვირთისათვის. რომელიც ეგზავნება სოფლისა და წყალთა მეურნეობას, პურის მიმღებ საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებმაც 1976 წელს უნდა უზრუნველყონ მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადება და შენახვა.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ, რომ სამრეწველო საწარმოებმა შეფობის წესით გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პურის მიმღებ და მარცვლეულ-გადამამუშავებელ საწარმოებს მოსავლის ასაღები ტექნიკის, ელევატორებისა და ბელლების შეკეთებაში, 1976 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების მომზადებასა და ჩატარებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ მთლიანად შეინარჩუნონ მარცვლეულის მთელი ნათესები და გამოიყენონ ისინი მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით, განსაკუთრებით სიმინდის ნათესები, მკაცრი კონტროლი დაუწესონ საკუთარი მაღალხარისხოვანი თესლის საჭირო რაოდენობით მომარაგებას, მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების სამარქაფო და გარდამავალი ფონდების შექმნას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვებისათვის ხარისხოვანი თესლის დამზადების გეგმის შესრულებას. დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები და სიმინდის მარტივი ჰიბრიდების მთელი მოწეული მოსავალი გამოიყენონ მხოლოდ სათესლედ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ საბჭოებთან შეთანხმებით დაევალათ 1976 წლის მოსავლის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოსავლის აღებისა და გამოზიდვის პერიოდისათვის სასოფლო რაიონებს ან რაიონების ჯგუფს, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს დაუწესონ გარდამავალი წოთელი დროშები და ფულადი პრემიები, რომლებიც ყოველი 10 დღის მუშაობის შედეგების მიხედვით გადაეცემათ ავტოკოლონებსა და სხვა სატრანსპორტო ქვეგანაყოფებს, აგრეთვე გაითვალისწინონ მორალური და მატერიალური წახალისების სხვა ღონისძიებანი მექანიზატორებისა და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ 1976 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღებასა და დამზადებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია 1976 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღებისა და დამზადების დროულად მომზადებისა და ორგანიზებული დამთავრების სხვა ღონისძიებანიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საგრეხველო საწარმოები და სატრანსპორტო ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, დაამზადონ საჭირო რაოდენობის საკვები, მთლიანად და გადაბარებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ოქტომბერი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

21 მაისს საქართველოს კომპარტიის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის (თრელიმო) თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სამორა მოიზეს მაშელს — მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაურს.

ე. ა. შევარდნაძე ს. მაშელსა და მის ამხანაგებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მთავრობის სამრეწველო ხალხის მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. დარწმუნებული იყავით, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი მეგობრობითა და სოლიდარობით ეკიდებიან მოზამბიკელ ხალხს.

ჩვენ ვიცით, თქვა შემდეგ ე. ა. შევარდნაძემ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრები და საუბრები გქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან — ლ. ი. ბრეჟნევთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან — ნ. ვ. პოდგორნასთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან — ა. ა. გრომიკოსთან და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრებზე გამოითქვა საბჭოთა ადამიანების აზრები და გრძნობები, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს მოზამბიკელი ხალხის, ისევე როგორც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრძოლას იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

საუბრიდან, რომელიც ორმხრივ ინტერესის საკითხებს ეხებოდა, მეათე ხუთწლედის გეგმებს, XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობებს, ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეროვნულ-ეკონომ

დიდების შარავანდედი

ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 55 წლისთავის გამო

1976 წლის 22 მაისს 55 წელი უსრულდება ამერიკაკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქს. ეს დიდი მოვლენაა სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დამცველების, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანების, ამერკავკასიის ყველა მშრომელის ცხოვრებაში.

ოლქის 55 წლისთავს ამერკავკასიის მეშრომელები აღნიშნავენ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმაღლობის პირობებში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას. მისი საბრძოლო ოლიმპიადები გაცისკროვნებულია დიდი ოქტომბრის შუქით, შერეულია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და გამაჯავებთა დიდების შარავანდედით ოლის მოსილი დიდ სამამულო ომში.

ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანმა სამხედრო ოლქმა გავლილ ჭეშმარიტად გმირული გზა, რომელსაც დასაბამი ესცა ლენინდარელმა მე-11 არმიამ. სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ზობილი ეს არმია იბრძოდა ცარიცინისა და ტაგანროგისათვის, მისმა პოლკებმა ლენინის დროშა გამოამტვრიეს ჩრდილოეთ კავკასიისა და ამერიკაკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში.

ამერიკაკავკასიისთან წითელი არმიის მოახლოებამ კიდევ უფრო გააძლიერა რევოლუციური მოძრაობა აზერბაიჯანში, სომხეთისა და საქართველოში, გამაბეჯითა მშრომელთა იმედები, რომ ბოლო განთავისუფლდებოდნენ მემამულეების, ადგილობრივი და უცხოელი ბურჟუაზიის ჩაგვრისაგან.

ამერიკაკავკასიის ბოლშევიკები ჩაუდგნენ სათავეში ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რევკომების მიმართვის პასუხად მე-11 არმია ე. ი. ლენინის მითითებით 1920 წლის აპრილში ამერკავკასიაში შემოვიდა, რათა შეესრულებინა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა კლასობრივი ბრძოლის წინაშე.

ხალხის ხსოვნაში წარუშლელია ბევრი ბრწყინვალე ოპერაცია, რომლებიც მე-11 არმიის ჯარებმა განაორიელეს ამერკავკასიაში.

ოლქის ისტორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის ბევრი გამოჩენილი მოღვაწის — ს. მ. კიროვის, გ. კ. ორჯონიკიძის, ა. ი. მიკოიანის, სამოქალაქო ომის პერიოდის ისეთი ცნობილი მხედართმთავრების სახელები, როგორიც იყვნენ მ. კ. ლუბანდოვსკი, მ. გ. ფფრუნზე, პ. ვ. კუტიაპოვი, დ. ფ. ფლობა და ბევრი სხვა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებისათვის მე-11 არმიის მეომართა დახმარება მკაფიოდ გამოსატავდა ხალხთა მეგობრობას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების ხორცშესხმას.

როცა მშვიდობა დამყარდა, მე-11 არმიის ნაწილებისაკენ 1921 წლის 22 მაისს შეიქმნა კავკასიის ცალკე არმია, რომელსაც დაეკისრა სამხედრო ოლქის ფუნქციები. სწორედ ეს დღე გახდა ამერკავკასიის სამხედრო ოლქის დაბადების დღე.

1923 წელს კავკასიის ცალკე არმიის ცხოვრებაში დიდი მოვლენა მოხდა. საბრძოლო დამსახურებისათვის იგი დაჯილდოდა წითელი დროშის ორდენით და ეწოდა „კავკასიის წითელდროშოვანი არმია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ეს ორდენი 1967 წელს მემკვიდრეობითობით გადაეცა ამერკავკასიის სამხედრო ოლქს, რომელსაც ამიერიდან ეწოდა „ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი.

ოლქის ჯარები სრულყოფდნენ საბრძოლო ოსტატობას, ითვისებდნენ მიღებულ საბრძოლო ტექნიკას, სწავლობდნენ მთებში მოქმედებას. მრისხანე 1941 წელს ოლქის შენაერთები და ნაწილები მაღალი საბრძოლო მზადყოფნითა და ბრძოლისუნარიანობით შეხვდნენ.

უკვე დიდი სამამულო ომის დაწყებისას პარტიის მოწოდებით მთელ საბჭოთა ხალხთან და მის შეიარაღებულ ალებთან ერთად ამერკავკასიის მეშრომელი დაუნდობლად ანადგურებდნენ საქმელველ მტერს. ისინი იცავდნენ ყირიმს, იბრძოდნენ როსტოვთან და ფეოდოსიასთან, გმრუოლად იცავდნენ სევასტოპოლს.

1942 წლის ზაფხულში დაიწყო ისტორიული ბრძოლა კავკასიისათვის, რაც დაასრულა 15 თვეს გასტანა. ჰიტლერელთა ურდოებს გზა მკერდით გადაუკეტეს კავკასიის სახელოებმა დამცველებმა. ლენინდები შეიჭრა ნოვოროსიისკის, მალგობეკის, მოზდოკის დამცველთა შესახებ. უძლეველ ციხე-სიმაგრეებად იქცნენ კავკასიის ქედის უღელტეხილები. ჩაბალა ჰიტლერელთა შეტევა ტუაფსეს მიმართულებისაკენ. 1943 წელს დამდეგს ამერიკაკავკასიის ფრონტის ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ამერიკაკავკასიის ფრონტის ბრძოლების მატიანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია ნოვოროსიისკის მახლობლად ლენინდარული „მცირე მიწის“ გმირული თავდაცვა. 225 დღისა და ღამის გაუძღეს მცირემიწელებმა გააფთრებულ შეტევას, ძალებს ძაბავდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის. „მცირე მიწის“ დაცვის სული და გული იყო მეთვრამეტე არმიის პოლიტმუშაკთა მამაცი კოლექტივი, რომელსაც მეთაურობდა პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი.

„მცირე მიწა“ იყო დიდი გამარჯვების — 1943 წლის სექტემბერში ქალაქ ნოვოროსიისკის განთავისუფლების პროლოგი.

„საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა არმიამ, რომლებსაც ლენინური პარტია ხელმძღვანელობდა, გააცამტვერეს ჰიტლერელთა დამპყრობლური ზრახვები, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ჩვენი მეთვრების გმირობა ისეთივე გადაულახავი დაბრკოლება აღმოჩნდა, როგორც კავკასიონის მწვერვალები“.

კავკასიისათვის ბრძოლაში გაიფურჩქნა ბევრი ცნობილი მხედართმთავრის ნიჭი.

კავკასიისათვის ბრძოლებში მეომრებმა გამოიჩინეს მტკიცე ერთგულება პარტიისა და სამშობლოსადმი. სამშობლოსადმი, გამარჯვებისადმი შეუდრეკელი მისწრაფება, მასობრივი გმირობა. ათი ათასობით მებრძოლი და მეთაური დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით, ხოლო კავკასიის 115 დამცველს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

კავკასიის დამცველი საბჭოთა მეომრების განსაკუთრებული შეუპოვრობისა და გმირობის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღწერა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“, რომლითაც 580 ათასზე მეტი კაცი დაჯილდოდა. გმირი ქალაქები გახდა ქერჩი და ნოვოროსიისკი.

კავკასიისათვის ბრძოლა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმტკიცისა და ურღვევობის დიდი გამოცდა იყო. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულმა კავკასიის ხალხებმა დიდ რუს ხალხთან და ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად მკერდით დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლო.

მთელ საბჭოთა არმიასთან ერთად ამერკავკასიის ფრონტის ათობით შენაერთმა და ნაწილმა ღირსეულად ატარა შეტევითი ესტაფეტა მომდევნო ბრძოლებში სხვა ფრონტების შემადგენლობაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში.

დღეს ჩვენი ხალხი ეწევა მშვიდობიან კომუნისტურ მშენებლობას, წარმატებით ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ოლქის ჯარები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, უკვე ბევრ არიან ისეთი, როგორიც დიდი სამამულო ომის დამთავრებიასა იყვნენ. ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე რაკეტული იარაღით, პირველხარისხოვანი ზეგბგერითი თვითმფრინავებით, თანამედროვე ტანკებით, არტილერიით, სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო მანქანებით.

მაგრამ ჩვენი არმიის ძალას მხოლოდ თანამედროვე იარაღი არ შეადგენს. მთავარია ადამიანები, რომელთა ხელშია იარაღი.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ოლქის მეომრები გაორკეცებული ენერგიით აღწევენ მაღალ მაჩვენებლებს სწავლასა და დისციპლინაში, ღღენიადაგ სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას. მეომრების მაღალი გაწვრთნილობის, ვაჟკაცობისა და სიმტკიცის, მათი მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებების მაჩვენებელი იყო ის, რომ ყრილობის წინ წარმატებით მოეწყო ჯარის საკორპუსო წვრთნა „კავკასია“.

ჯარებში ფართოდ გავრცელდა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „გადავაქციოთ სკკპ XXV ყრილობის წელი საბრძოლო მზადყოფნის, საბრძოლო გაწვრთნილობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლების, ახალი ტექნიკისა და იარაღის ბეჯითად ათვისების წლად“. ჯარში სამსახური ყოველდღიურად წარმოშობს მხედრული შრომის ახალ გმირებს, სამხედრო საქმის ოსტატებს, ფრიადოსნებსა და კლასის სპეციალისტებს.

ოლქის ჯარების შემაკავშირებელი ძალა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამოცანათა გადაწყვეტაში მეთაურთა მთავარი ბურჯი მუდამ იყვნენ და არიან კომუნისტები, რომლებიც თავიანთი აქტივობითა და საქმიანობით მაგალითს უჩენენენ ყველას, სათავეში უდგანან მებრძოლთა ფართო მასებს.

ამიერკავკასიელი მეომრები თავიანთი ოლქის 55 წლისთავს ეგებებიან სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დაცვისათვის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით. ისინი მუდამ მზად არიან პირნათლად შეასრულონ თავიანთი მხედრული მოვალეობა, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ აგრესორს.

ნ. შაბლოვსკი,
პოლკოვნიკი.
(საქინფორმი).

მსოფლიოს ამბები

დაათვალიერეს მუზეუმი

ბერლინი. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობაზე წარგზავნილი საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა დღეს ბერლინის ჯარლპორსტის რაიონში დაათვალიერა მემორიალური მუზეუმი, სადაც 1945 წლის მაისში ხელი მოაწერეს ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

წინსვლის პროგრამა

ბერლინი. (საკდესი). გუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობამ დაამთავრა კამათი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და გადავიდა დღის წესრიგის შემდეგ პუნქტზე. დღევანდელ დილის სხდომაზე 1976-1980 წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის დირექტივების თაობაზე მოხსენება გაკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ზინდერმანმა.

ვეგობროგისა და ძმობის მილინგი

დრეზდენი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ, დღეს ეწვივნენ დრეზდენს—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდ სამრეწველო, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრს.

ელბისპირა ქალაქის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ი. ვ. კაპიტონოვსა და დელეგაციის სხვა წევრებს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დრეზდენის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰ. მოდროვმა და საოლქო კომიტეტის სხვა ხელმძღვანელებმა საბჭოთა სტუმრებს გააცნეს, თუ რა წვლილი შეიტანეს ოლქის მშრომელებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში და რა აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის IX ყრილობისათვის მზადებაში.

დრეზდენის „ზაქსენვერკის“ ქარხანაში — ელექტრომანქანათაშენებელი კომბინატის მეთაურ საწარმოში გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა, რომელსაც შეეგებინა გულთბილი შეხვედრენ.

ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა დიდი მადლობა უძღვნა „ზაქსენვერკის“ კომბინატის პარტიულ კომიტეტსა და მუშამძღვანელობას, მთელ კოლექტივს გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც გაუწიეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობაზე ჩამოსულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებს. შემდეგ მან თქვა: ეს მიგვაჩნია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი თქვენი ძმური გრძნობების გამოვლინებად. მხურვალედ მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს სახელით.

მოხარული ვართ, ძვირფასო მეგობრებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელით გისურვოთ თქვენ, ქალაქ დრეზდენის კეთილი მოქალაქენ, დიდი წარმატებანი, კეთილდღეობა და ბედნიერება.

რამდენიმე დღეა ჩვენი დელეგაცია მონაწილეობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის მუშაობაში, თქვა შემდეგ ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა. ბერლინში, რესპუბლიკის სხდომათა სასახლის დარბაზში, კარგი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს, საქმიანად განიხილავენ პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ამხანაგ ერიხ ჰონეკერის შესანიშნავ და შინაარსიან მოხსენებაში, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში ასახულია ჭეშმარიტად შთამბეჭდავი წარმატებანი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, დიდად გვახარებს ეს წარმატებანი. ისინი დამაჯერებლად მოწმობენ, რომ გერმანიის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში მტკიცედ დამკვიდრდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ისტორიული მონაპოვრები დამაჯერებლად ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობებსა და უზარმაზარ შესაძლებლობებს, აღნიშნა ორატორმა.

ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა ხალხის თანამედროვე ცხოვრება და შრომა. შემდეგ მან თქვა, რომ ახლახან გამართულმა სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა ქვეყნის ძლიერების შემდგომი ზრდის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, საბჭოთა კავშირში მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფის ახალი მიჯნები.

ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ფართოდ დასაბუთა გზები, რომლებსაც დასახული მიზნების მიღწევისაკენ მივყავართ. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ყველა უმანზე მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური ქვეყნების ღღეგანდელ ყოველმხრივ თანამშრომლობას, განსაკრძო ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა. ეს ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე, ეს აზრი მკაფიოდ არის გამოხატული ამხანაგ ე. ჰონეკერის მოხსენებაში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობაზე დელეგატთა გამოსვლებში.

ჩვენი ქვეყნების ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობა ახლა ფართოდ ვითარდება. ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა და ურთიერთდახმარება ვლინდება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია „ზაქსენვერკისა“ და ლენინგრადის გაერთიანება „ელექტრომაძლ“ კოლექტივების მჭიდრო თანამეგობრობა.

ამს. ი. ვ. კაპიტონოვი თავის სიტყვაში შეეხო თანამედროვე ეტაპზე მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანებს და აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ სოციალისტური თანამეგობრობის მზარდი ეკონომიური ძლიერება და პოლიტიკური გავლენა, საერთაშორისო მუშათა კლასის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საბრძოლო შემარა-ფოვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახალი თანაფარდობის, აქტიური და შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის შედეგად ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა ბოლო დროს ბევრ რამეს მიაღწიეს. ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საყოველთაო საერთაშორისო ცნობა, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ ევროპის განვითარების შედეგების აღიარება.

სოციალიზმის პოზიციების, მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი საერთო წარმატებების შემდგომი განმტკიცების საწინდარია მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, განმტკიცება და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება.

ჩვენი პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა განამტკიცოს საბრძოლო კავშირი გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასთან, გააღრმავოს ჩვენი მოძმე ხალხების ურღვევი მეგობრობა.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა დრეზდენელ მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი იმ ამოცანათა შესრულებაში, რომლებსაც პარტიამ და ქვეყანამ უსახავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

აშშ

ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი. დამთავრდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ'ესტენის ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. საფრანგეთის პრეზიდენტს მოლაპარაკება ჰქონდა პრეზიდენტ ჯ. ფორდთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა დიდი თანამდებობის წარმომადგენლებთან.

სენატორები აკრიტიკებენ

ვაშინგტონი. ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მტკიცე და სამართლიანი მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისრაელი დაიბრუნებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებსა და თავის მოქალაქეებს გაიყვანს ამ მიწებზე შექმნილ სამხედრო დასახლებებიდან. ასეთი დასკვნა გამოიტანა ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობიდან.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე სენატორებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ სამხედრო დასახლებებს შექმნა მოწმობს ისრაელის განზრახვას დაიკანონოს ახლანდელი საზღვრები. ამგვარ პოლიტიკას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს, თქვა სენატორმა ფ. ხესკელმა. სენატორმა ჩ. პერსიმ განაცხადა: ვისაც ეჯობინა, რომ ისრაელს შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიებიც შეინარჩუნოს და მშვიდობის იმედიც იქონიოს, ძალიან ცდებაო.

ნ.რევეზია

ნატოს საბჭოს სესია

ოსლო. (საკდესი). აქ გაიხსნა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საბჭოს მორიგი სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ამ საამხედრო ბლოკის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. მათ უნდა განიხილონ ნატოს ცალკეული წევრების ურთიერთობა, ნატოს საგარეო ფლანგის მდგომარეობა, მონაწილე ქვეყნების სამხედრო ხარჯების გადიდების საკითხი.



პრესა აღასტურებს ბულგარელი ემიგრანტი ამხილებს

სოფია. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში შექმნილია ჯაშუშური ცენტრების ქსელი, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ცენტრები, რომლებსაც უმთავრესად ამერიკის დაზვერვა აფინანსებს, მჭიდროდ არის დაკავშირებული რადიოსადგურ „თავისუფალ ევროპასთან“, რომლის თანამშრომელთა უმრავლესობას მომზადება გავლილი აქვს ამ ჯაშუშურ ორგანიზაციებში. ამას მოგვითხრობს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში ხელმოწერილი ემიგრანტი ს. ილიევი, რომელიც ბულგარეთში დაბრუნდა ამას წინათ დასავლეთში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ.

ბულგარეთიდან გაქცევისთანავე ს. ილიევი მოათავსეს ცირნდორფის ბანაკში. დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის სადაზვერვო სამსახურების მუშაკებმა დაიწყეს გაუთავებელი დაკითხვები, რათა მიეღოთ მისგან ცნობები ბულგარეთში არსებული ვითარების შესახებ, რაც დაზვერვას აინტერესებდა.

შემდეგ ს. ილიევი გადაიყვანეს მიუნხენში, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ეგრეთ წოდებულ საკორდინაციო ცენტრში. ამ ჯაშუშური ორგანიზაციის მთავარი მიზანია, განაცხადა ს. ილიევმა, — დაზვერვითი სასიათის ცნობების შეგროვება სოციალისტური ქვეყნების შესახებ, შესაფერი „კადრების“ შერჩევა ამერიკის სადაზვერვო სკოლებისათვის.

როცა მიუხსენის ცენტრში მოხვდა, ილიევს უბრძანეს დაეგიწყებინა თავისი სახელი, გვარი, ეროვნება. ამის ნაცვლად მას მიაკუთვნეს „ნომერი 143“. აქ იგი გაეცნო ზოგიერთ ამერიკელ მზვერავს, რომლებიც ბულგარეთში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.

მაგრამ ს. ილიევმა უარი თქვა ჯაშუშურ საქმიანობაზე, რითაც ძლიერ გაანაწყენა თავისი „მეურვეები“, იგი დაუყოვნებლივ გამოაგდეს ცენტრიდან, მაგრამ ამის შემდეგაც არ ასვენებდნენ. ემიგრანტთა ბანაკებში ილიევის ხეტიალის დროს ამერიკის დაზვერვა თვალს არ აშორებდა მას. შემდეგ „თავისუფალი ევროპის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაავალა დაზვერვითი ხასიათის ინფორმაციის შეგროვება ბულგარელ მოქალაქეებს შორის, რომლებიც ევროპის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩადიან, რისთვისაც მისცა 500 მარკა. მაგრამ ს. ილიევმა კვლავ გაუცრუა იმედი თავის დამქირავებლებს. მან ამ ფულით ბილეთი იყიდა და ბულგარეთში დაბრუნდა.



ეძებენ მოწესრიგების გზებს

ბეირუთი. საკდესის კორ. ვ. კოპიტინი გვატყობინებს: ლიბანის დედაქალაქსა და მის გარეუბნებში შეინიშნება, რომ ერთგვარად შენელდა შეიარაღებული შეტაკებებისა და ქალაქის საცხოვრებელი უბნებისათვის ხმოვანების დაშენის ინტენსივობა. მაგრამ აინტურის, მტეინის, ბულონხა და ბასკინტის შთიან რაიონებში ბრძოლა გრძელდებოდა მემარჯვენე და ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს შორის. გაზეთი „ორიან-ეური“ წერს, რომ გუშინ დაიღუპა 39 და დაიჭრა 62 კაცი.

ადგილობრივი პრესა შეიარაღებულ შეტაკებათა ინტენსივობის ერთგვარ შენელებას იმით ხსნის, რომ აქ ლიბანის ახლახან არჩეული პრეზიდენტი ი. სარკისი შეხვდა ეროვნულ-პატრიოტული ძალების წარმომადგენელს, პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს კ. ჯუმბლათსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეს ი. არაფატს. ამ შეხვედრაზე, წერს გაზეთი, გაანიხილეს ლიბანში სისხლისღვრის შეწყვეტის საკითხი.

გაზეთი „ალ მუჰარირი“ იტყობინება, რომ რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტთან შეხვედრაზე კ. ჯუმბლათმა ეროვნულ-პატრიოტული ძალების სახელით შესთავაზა მოქიშპე მხარეებს დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე და შეწყვიტონ შეტევითი მოქმედება, კრიზისის მოწესრიგებამდე, რომელსაც უნდა მიაღწიონ ამ მხარეთა წარმომადგენლების მოლაპარაკების გზით.

საკდესი გვაცნობებენ

ტელეტაიპის ლენტიდან

● ფინეთი

ჰელსინკი. ფინეთში მიღებულია პარლამენტისა და ადგილობრივი კომუნისტური ორგანოების დეპუტატების კანდიდატთა ახაკობრივი ცენზის შემცირების კანონი. თუ წინათ კანდიდატებად დასახელება შეიძლებოდა 20 წელზე არანაკლები ასაკის პირებისა, ახლა ასეთი უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ ფინეთის მოქალაქეებს, რომლებმაც 18 წლის ასაკს მიაღწიეს.

● იტალია

რომი. იტალიაში გრძელდება სიძვირის ზრდა. სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის მონაცემებით, სამომხმარებლო საქონლის ფასები მიმდინარე წლის აპრილში მარტთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა.

სულ კი წლის განმავლობაში — 1975 წლის აპრილიდან მიმდინარე წლის აპრილამდე — ეს საქონელი 15,5 პროცენტით გაძვირდა.

● მექსიკა

მექსიკო. სამახი კაცი უსახლკაროდ დარჩა ძლიერი სეტყვის შედეგად, რომელიც 48 საათს გრძელდებოდა მექსიკის ქალაქ ოახაკაში. სამი დღის წინათ იგივე სტიქია თავს დაატყდა დედაქალაქ მექიკოს, სადაც 45 კაცი დაშავდა.

● მალაიზია

კუალა-ლუმპური. მალაიზიური ვეფხვეთ შეიესო ამ ქვეყნის ფაუნის გაქრობის გზაზე დამდგარ წარმომადგენელთა გრძელი სია. აღნიშნავენ რა ვეფხვთა რიცხვის მკვეთრ შემცირებას უკანასკნელ წლებში, მალაიზიელმა ზოოლოგებმა „ჯუნგლების მეფე“ წითელ წიგნში შეიტანეს. ამიერიდან ვეფხვის დაჭერისა და მოკვლისათვის ბრაკონიერებს 1.200 დოლარით დააჯარიმებენ ან ორი წლით ჩასვამენ საპატიმროში.

ᲔᲚᲛᲬᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲛᲬᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲛᲬᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

მსოფლიოს რუკასთან

გმირთა სახელოგისა...

მოზამბიკი ახალ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს მომკავალს

უველაზერი იქიდან დაიწყო, რომ ოკეანის სანაპირო ქალაქ შაიშიდან მოვიდნენ ლტოლვილები, რომლებიც წყალდიდობას გამოექცნენ, როცა ზვიმბაბვიდან ადიღებულმა მდინარეებმა ლიმპოპომ და ინკომატმა ნაპირები გადახეთქეს და წალეკეს მინდვრები, ქოხები, სოფლები. ლტოლვილებმა გაუვალი ჯუნგლების მახლობლად გაშალეს კარავები. ზოგიერთმა გლეხმა ახლი გამოთქვა, რომ ღრმად შესულიყვნენ ჯუნგლებში და სადმე ნაკადულის მახლობლად დასახლებულიყვნენ.

— რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ გაიფიქროთ ტყეში და იცხოვროთ ისევ ისე, როგორც ცხოვრობდით — ცალცალკე, ერთმანეთისაგან მოშორებით, — უთხრა გლეხებს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის (ფრელიმო) პოლიტიკურმა კომისარმა ეროზე მპფონგმა. — მაგრამ, უკეთესი არ იქნება ვიცხოვროთ ერთად, შეექმნათ კოლექტიური სოფელი? თუ თქვენ ჯუნგლებში წასვალთ, მაშინ ვეღარ ატარებთ ბავშვებს სკოლაში, ვერ გამოიძახებთ ექიმს ავადმყოფთან. თუ სტიქია კვლავ აბობოქრდება, თქვენი დახმარება უკვე ძნელი იქნება. კოლექტიური სოფლის შექმნის შემდეგ კი ახალ ცხოვრებას დაიწყებთ — სისტემატურად მიიღებთ მთავრობის მხარდაჭერასა და დახმარებას.

კომისრის სიტყვები გლეხებს ჭკუაში დაუჯდათ. მხოლოდ სამი ოჯახი წავიდა ჯუნგლებში, ხოლო 204 ოჯახი, თითქმის სამი ათასი კაცი ადგილზე დარჩა, შეუდგნენ სოფლის შენებას — დაიწყეს ტყის კაფვა, მიწის გაწმენდა. ფრელიმოს ადგილობრივმა განყოფილებამ წამოაყენა დევიზი: კოლექტიურ სოფლებში იბადება მომავალი, ახალი ადამიანი. ამი-ტომ სოფლის აშენებაში ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებიც უნდა ჩაებან. 12 ათასზე მეტი გლეხი გამოეხმაურა ამ მოწოდებას, შორეული სოფლებიდან იგზავნებოდა საშენებლო მასალა, ინსტრუმენტები.

ეს მოხდა 3 თებერვალს. იმ დღეს, როცა მოზამბიკის რესპუბლიკაში აღნიშნავდნენ ეროვნულ თარიღს — მოზამბიკის გმირთა დღეს. ადამიანები მუშაობდნენ, თან კი რადიომიმღებებიდან ესმოდათ რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მაშელის გმაწყნარებელი სიტყვები: „ჩვენი მიზანია მთელს ქვეყანაში შეექმნათ ახალი ტიპის დასახლებები, თავისებური ქალაქები ჯუნგლებში, სადაც ადამიანები ახლებურად ისწავლიან და იცხოვრებენ. ჩვენთვის კოლ

საქართველოს ამა-ბარი

კარგი ტრადიცია

ცხინვალი. (საკ. კორ.). კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — თეატრის ქართული და ოსური დასები აწყობენ გაცვლითს სპექტაკლებს საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ თეატრებთან. ამჯერად ცხინვალს ესტუმრა მესხეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლები: გ. ხუხაშვილის დრამა „დედა, მამა და შვილები", გ. ბერიაშვილის კომედია „მეხდაციმული ქაჯალი", შამხალოვის კომედია „დედამთილი", და „გოდეგილები", გ. ერისთავის „ძუნწი" და რ. ერისთავის „ჭერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს".

კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასი კი მესხეთში იმყოფება. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მაყურებელი ნახავს საუკეთესო დადგმებს: ა. ცაგარლის, ვ. ცხოვრებოვის, ა. ოსტროვსკის, გ. ბერიაშვილის კომედიებს.

გ. თედეევი.

მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ჭკადუაში რაიონში ერთ-ერთი ლამაზი სოფელია, რომელიც მთა-გორაკებზეა შეფენილი. სოფელს თავს დაჰყურებს ტყით დაფარული მთები, საიდანაც ბევრი ბუნებრივი წყარო მოედინება, მაგრამ ჭკადუაშს წყალი, მაინც აკლდა, განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში, როცა ჰაბი შრებოდა.

ჭკადუაშის კოლმეურნეობამ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს ხელშეკრულება დაუდო „მაფას წყაურგილიდან" და „გვირაბის" წყაროებიდან წყლის გადმოყვანაზე. მშენებლებმა 17 კილომეტრიანი წყალსადენის ქსელი გაიყვანეს, 27 მეტრის სიმაღლის კოშკი დაამონტაჟეს, სადაც დადგეს 200 კუბმეტრის ტევადობის წყალსაცავი ცისტერნი, ააშენეს ოაზი, სატუმბო სადგური.

გ. ნოდია.

სოფლის სიახლენი

თარჯოლა. (საკ. კორ.). მრავალი ახალი ნაგებობა ამშენებს რაიონის სოფლებს. იზრდება სკოლების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი.

ახლახან სოფელ ქვედა სიმონეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა.

ო. ნიქაბაძე.



„მზისალენ". (თბილისის ფუნიკულორის საჰაერო გზა). **გ. დადვაძის** ფოტო.

ცათამბჯენ კლდეებს შორის...

ამბროლაურის რაიონშია ხიდიკრის ხეობა, რომელზეც ქუთაის-ონის გზატკეცილი მიემართება. ცათამბჯენ კლდეებს შორის ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე გაჩნდა ნაპრალი, რომელიც ყოველდღიურად ფართოვდებოდა და საშიშროებას ქმნიდა.

ამიტომ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ მოავლინა კლდეზე მცოცავი სპორტსმენები აღ. გვალიას, ნ. გუგეშაშვილის, ნ. ფერაძის, ა. ალაყმაძის, სტ. ბედუკაიანის, ივ. უშვერიძის შემადგენლობით. მათ აფეთქება ისე უნდა მოეხდინათ, რომ ხეობაში გაყვანილი სარეპპუბლიკათშორისო ელექტრონისა და სატელეფონო ხაზები არ უნდა დაზიანებულიყო.

ახალგაზრდა სპორტსმენი ნ. გუგეშაშვილი გაბედულად ჩაეშვა თოკით ნაპრალში ორასამდე მეტრის სიღრმეზე, საზრიანად დატენა „ასაფეთქებელი მასალით ნაპრალები. აფეთქებამ მშვიდობიანად, უზარალოდ ჩაიარა. უზარმაზარი ლოდებით გზა ჩაიხერგა, მაგრამ მარჯვე ბულდოზერისტმა ბ. სხირტლაძემ და მისმა კოლეგებმა გზა მალე აღადგინეს.

აკ. კერესელიძე.

ჭადრაკი

5 ტური პლოვდივში

პლოვდივში (ბულგარეთი) გრძელდება ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მეოთხე ტურში თბილისელმა ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა თვთრებით სძლია პეტროვას (ბულგარეთი), ხოლო მეხუთეში გადადო პარტია ოსტატ გოგოლიასთან (რუმინეთი).

5 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი პიპაილიჩი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატ ბორისოვას (ბულგარეთი) 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ოსტატ გოცევას (ბულგარეთი) — 3,5 ქულა, ოსტატ ხუგაშვილს — 3 ქულა და ორი გადადებული პარტია, ოსტატ გოგოლიას — 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ოსტატი დრუმევი სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტში" წერს: „ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი ჩემპიონის ბორისოვას, საქართველოს ჩემპიონ ხუგაშვილისა და იუგოსლავიელ პიპაილიჩის ძლიერი თამაში, ისინი შეიძლება მხოლოდ გოცევამ (ბულგარეთი) და გოგოლიამ (რუმინეთი) „შეაწუხონ".

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს პირველობაზე მეთერთმეტე ტურით დიდწყო ფინიში. შეჯიბრეების ერთ-ერთმა ლიდერმა ოსტატმა უბილავამ უარეს პოზიციაში გადადო პარტია ოსტატ ზაიჩიკთან. მეორე ლიდერი, ოსტატი ჩიქოვანი უკეთეს შესაძლებლობებს ინარჩუნებს მაჭარაშვილთან. ოსტატმა ჯანოვამ მოუგო მაია ჩიბურდანიძეს. მწვავე პოზიციაში გადაიდო საპიზო ადგილების პრეტენდენტების სტურუასა და კაპანაძის შეხვედრა.

11 ტურის შემდეგ 8 ქულით პირველ ადგილზეა ჯანოვი. 7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ჩიქოვანსა და უბილავას.

ტანვარჯიში

თასი — მოსკოველებს

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გრძელდება ტანმოვარჯიშეთა დიდი ფორუმი — სსრ კავშირის თასების გათამაშება და საკავშირო ჩემპიონატი მრავალკიდის ცალკეულ სახეობებში.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ქალთა გუხდურ ასპარეზობაში რუსეთის ფედერაციის ნაკრების გამარჯვების შესახებ. ამ გუნდმა თავი ვაჟთა შეჯიბრებებშიც გამოირჩინა (547,35 ქულა), მაგრამ პირველობა და თასი მაინც მოსკოველებმა მოიპოვეს — 550 ქულა. მესამე ადგილზე არიან უკრაინელი ტანმოვარჯიშეები — 544,8 ქულა.

პირად ჩათვლაში სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების შესრულების შემდეგ დაწინაურდა მოსკოველი ვლადიმერ მარკელოვი — 112,30 ქულა. მომდევნო შედეგები აჩვენეს ლენინგრადელმა ალექსანდრე დიტატინმა — 111,45 და როსტოველმა ვლადიმერ ტიხონოვმა — 111,2. მეოთხე ადგილზეა ნიკოლოზ ანდრიანოვი (ვლადიმირი) — 110,65, მეხუთეზე — პაატა შამუგია (თბილისი) — 110,6, მეექვსეზე — გენადი კრილოვი (მოსკოვი) — 110,25 ქულა.

გუშინ საღამოს ლუჟნიკის სარბიელზე გამოვლინდნენ სსრ კავშირის თასების მფლობელნი პირად შეჯიბრებაში ქალთა და ვაჟთა შორის.

ტორპედოელთა გამარჯვება

გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში. ქუთაისის „ტორპედო" თამაშობდა ყაზანში ადგილობრივ „რუბინთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

აი დანარჩენი შეხვედრების შედეგები: იაროსლავლის „შინაკი"-ბაქოს „ნეფტჩი" — 0:3; პერმის „ზვეზდა"-როსტოვის სკა — 3:1, კემეროვოს „კუზბასი"-სიმფეროპოლის „ტავრია" — 2:0; ზაპოროჟიეს „მეტალურგი"-ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი" — 0:0; კაშინიოვის „ნისტრუ"-რიგის „დაუგავა" — 4:2; აშხაბადის „კოლხოზჩი"-კრასნოდარის „ყუბანი" — 2:1; დუშანბეს „პამირი"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 1:1; ტაშკენტის „პახტაკორი"-ნალჩიკის „სპარტაკი" — 3:0; ალმა-ათის „კაირატი"-გროზნოს „თერგი" — 1:0.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ჩვენ ეროვნული ეკონომიკისთვის

მეტალურგიული ქარხანა

ბ ა ნ ო ბ ა

... ბ ა ნ ო ბ ა

... ბ ა ნ ო ბ ა

...